საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

16/09/2025

MES 4 25 0001156595

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების“ აკრედიტაციის დებულების (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 25 - ე პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა №77, 28.03.2019 გადაწყვეტილებით.

2.2. ”აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2025 წლის 3 თებერვლის №95627 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი). აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა, ცენტრში 2024 წლის 29 ნოემბერს №2929 (ცენტრში რეგისტრაციის №1538885) წერილით წარმოდგენილი "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასება.
2.3. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2025 წლის 2 სექტემბერს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება. კერძოდ, 1.3 ქვესტანდარტში გაცემული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში შემდეგი სახით:
"სასურველია, თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს კონკრეტული შეფასების მეთოდები და მათი მიღწევის სამიზნე ნიშნულები. ასევე, კურიკულუმის რუკაზე აღინიშნოს სწავლის შედეგის მიღწევის დონე."

შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეწყდეს "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტრის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. მიჩნეულ იქნეს, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით;
4. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
5. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 16 სექტემბრის №1154033 ოქმის №06 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

6. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 16 სექტემბერს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების კანონმდებლობის შესაბამისად ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე